აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №13

2024 წლის 28 მაისი

ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სულიერების ცენტრის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად,

1. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლსდაქვემდებარებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ რეორგანიზაციის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 26 ნოემბრის №39 დადგენილებით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „სულიერების ცენტრის“ სახელწოდებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „სულიერი განვითარებისა და ეროვნული ფასეულოებების დაცვის ცენტრი“.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „სულიერი განვითარებისა და ეროვნული ფასეულოებების დაცვის ცენტრი“ ჩაითვალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „სულიერების ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ლ. თევზაია) უზრუნველყოს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის წარმოდგენა.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 22 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე**